ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4497488

ნომერი: AR1679811

თარიღი : 07.05.2019

გაცემის თარიღი : 13.05.2019

გაცნობის თარიღი : 15.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიროტაძე , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუნუ ვარსემაშვილი პ/ნ 01011022463
- თბილისი დოესის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ დღევანდელი სიტუაციის ამსახველი შორი და ახლო ხედით გადაღებული ფოტოსურათები სხვადასხვა ხედის ფილტრაციით და თარიღის მითითებით. ასევე მასზე კონტურის სახით მონიშნეთ თქვენს მფლობელობაში არსებული საპროექტო ფასადის ფართი.
..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : თქვენს მიერ წარმოდგენილ საკადასტრო რუკაზე საუბარი გაქვთ ორი საჩრდილობლის მოწყობის თაობაზე, თუმცა აბრის განთავსებას აპირებთ, დოკუმენტაცია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანეთ. ასევე წარმოადგინეთ დღევანდელი სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ყველა გაბარიტული ზომის მითითებით.
..საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა.. მესაკუთრის თანხმობის pdf ფაილი: საპროექტო ფართის წილობრივი კოდი მონიშნულ იქნეს რუკაზე და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ფართის ამონაწერი. აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ დადგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება და სხვა შესაძლო თანხმობების წარმოდგენის საჭიროება. გაითვალისწინეთ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ,მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით. გაითვალისწინეთ თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ასევე ვინაიდან ობიექტი მშენებარეა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (დამკვეთის) თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ამასთანავე გაცნობებთ, რომ რუკის ცვლილების ღილაკი ჩართული გაქვთ და შეძლებთ წილობრივი კოდის მონიშვნას.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.